ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

№ 14

ᲞᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ.

ᲥᲝᲗᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 29 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1911 ᲬᲔᲚᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲖᲔ

ᲥᲝᲗᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

"ᲬᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ (ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 17). ᲓᲐ ᲛᲝᲰᲔᲓᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲣᲗᲨᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲘᲗᲔᲠᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ: 3 ᲛᲐᲜᲐᲗᲘ. | 6 ᲗᲕᲔ: 2 ᲛᲐᲜᲐᲗᲘ. | ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ 10 ᲛᲐᲜᲗᲘ ᲓᲐ 10 ᲛᲐᲜᲗᲘ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1) ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ — Ა. ᲜᲘᲙᲝᲠᲬᲘᲜᲓᲚᲘᲡᲐ. 2) ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲤᲔᲚᲒᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ (ᲗᲐᲠᲒᲛ.) ᲐᲠᲩᲘᲚ ᲜᲣᲡᲢᲝᲠᲘᲡ. 3) ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡᲐ (ᲒᲚᲐᲓᲐᲢᲝᲠᲘᲓᲐᲜ). 4) ᲝᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲗᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ Ს. ᲙᲘᲠᲘᲢᲙᲘᲫᲘᲡᲐ. 5) ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲛᲘ (ᲤᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ). 6) Ბ. ᲮᲝᲠᲘᲡᲗᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲐ. 7) ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘᲡ-ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘ. 8) ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲚᲔᲑᲣᲚ ᲓᲔᲙᲐ. Გ. ᲩᲮᲘᲑᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲣᲛᲔᲚᲘᲡ ᲮᲝᲤᲓᲐᲕᲖᲔ ᲓᲔᲙᲐ Ｇ. ᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲥᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲯᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲙᲐᲪᲘ, ᲘᲡ ᲛᲘᲣᲡᲯᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲙᲐ ᲘᲓᲔᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲮᲐᲜ ᲓᲐᲮᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲐᲛ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ. — ᲔᲡ ᲤᲡᲘᲮᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲣᲠᲧᲝᲤᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐᲐ. ᲑᲔᲠᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲐ

ეროვნებაზე, ბევრი მეტი გრძნობიერი, ხშირად დაზეპირებული ფრაზებიც გვსმენია ამ საგანზე, მაგრამ ეს ჩვენი ცხოვრების არსებითი საკითხი დღეს მაინც უკუღმართ ხროცესს განიცდის, რადგან, ჩვენდა სამწუხაროთ, ეროვნების მენახვის გარეგეულ ბრაკტიკულ უნარს მოკლებული ვართ.

გაზ. კოლხიდის № 7 მოწინავე წერილის ავტორი გვისურათებს, რუ რა უფრო აუცილებელია ეროვნების არსებობისთვის და რას უნდა მივესწრაფეოდეთ. „შესაძლებელია ერმა სხვული (ძიწა) დაკარგოს, შესაძლებელია იგი ეკონომიურად დაეჩაგვდეს,—შესაძლებელია იგი პოლიტიკურად მოისპოს, მაგრამ მაინც იგი არსებობს, სანამ მისი სულიერი კულტურა ხელ უხლებელია, სანამ თავისებურად გრძნობს ხელოვნებაში, აზროვნებს მეცნიერებაში, ფილოსოფიაში და ირწმუნების რელიგიაში“—ასავსებით ვეთანხმებით წერილის ავტორს.

დიახ, თუ ერში „სული“ არ გაქრა, რაც უნდა სხვა და სხვა ეროვნების არსებობისათვის დამაბრკოლებელი ძალები იქმნეს, მაინც ერი იარსებებს. „გავიხსენოთ, ეოველი ერის ერთიანობის დამამკვიდრებელი მომენტი, მისი სულიერი ცხოვრება—მისი სულია, მისი სხეული კი მხოლოდ მეორე ხარისხოვან როლს ასრულებს“. მაშ თუ ერის არსებობის უმთავრესი ძარღვი სულშია, ამ სულის ერთი უმთავრესი ძარღვი-კი რელიგიაშია, სჩანს ერის, როგორც განსაკუთრებული ერთეულის, არსებობისთვის აუცილებელია რელიგია, რომელიც უშლის მას სხვა ერებთან გაერთიანებას. ამას მოწმობს მთელი საქართველოს წარსული. ამოსაკრეთ ერის „სულს“ სარწმუნოების ძარღვი და მისი სიცოცხლე მოისპობა. ამიტომაც შეგნებულად იცავდენ ჩვენი წინაპრები სარწმუნოებას, როგორც ეროვნების ერთ-ერთ შემნახველ საშუალებას. სარწმუნოება მტკიცე იყო, ეროვნებაც მეარ ნიადგზე იდგა, დღეს სარწმუნოება შეირყა, ეროვნების წინააღმდეგნიც გამოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ სარწმუნოების უარის მეოფელი უმეტეს შემთხვევაში იგივე ეროვნების უარის მეოფელია. ასე იყო ძველ საქართველოშიდაც, მაგრამ მაშინდელი სარწმუნოებით და მაშასადამე ეროვნული გრძნობიოთაც გამსჭვალულნი სძლევდენ, გარეშე ურწმუნო მტერსაც და შინაურ სარწმუნოებაზე და მაშასადამე ეროვნებაზედაც ხელ აღებულთ.

დღესაც ბრძოლაა ეროვნულ არსებობისთვის, დღესაც გვჭანან ჩვენი ერის მოამაგენი, მაგრამ დიდი განსხვავებით: თუ უწინდელ ეროვნების დამცველებს ერთ ხელში ხმალი ეჭირათ და მეორეში ჯვარი, დღევანდელ მებრძოლ ინტელიგენციას ცალ ხელში კალამი უჭირავს,—ხოლო მეორე ცარიელი აქვს,—ჯვარი დავიწყებია. ამიტომაცაა, რომ ცალ ხელა ინტელიგენციის ბრძოლა მიზანს ვერ აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევს. თითქოს გვჩვენება, რომ ჩვენი ეროვნების უარმყოფლებს უკვეთა აქვსთ ბრძოლის ალღო აღებული. ვინემ ჩვენ ეროვნების მოჭირნახულე ინტელიგენციას.

როგორც წინეთ ჩვენი მტრები სარწმუნოების წართმევით ცდილობდენ ჩვენ გადაგვარებას, ისე დღესაც, დღევანდელი ჩვენი შინაური მტრებიც სარწმუნოების დაცემით ცდილობენ დასცენ ხალხში ეროვნული გრძნობაც. გავიხსენოთ წასული წლების ერთგვარი მოქადაგენი,— რომლებიც ჯერ სარწმუნოებას აცლიდენ ხალხს და მერე თავის ეროვნების, მამულის და ტერიტორიის სიყვარულს ადვილათ აუქარწყლებდენ. აი რატომ საჭიროა, რომ ეროვნების დამცველი, თვით გამსჭვალული ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რომრომლისთვისაც ხალხს 15 საუკუნე უბრძოლია, სარწმუნოების ნიადაგზე მოქმედებდეს, სარწმუნოებაზე ამყარებდეს თავის ქადაგებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება მის ქადაგებას გავლენა და კეთილი ბოლოც...

ი. ნიკორწმიდელი.

კარგი, ყველგან კარგია.

რუსულიდან გადმოთარგმნილი.

(დასასრული).

„ბანაკი" პირველ შეხედულობით და ზერე-ქვერე დათვალიერებისათვის ძალიან მიმზიდველია: ის მხიარულებით და კმაყოფილებით სავსეა, თვალთა მომხიბლავი და გონების დამაკმაყოფილებელი ყოველ გვარი საშუალება ხელთ უპყრია. რამდენათაც კი შეიძლება, ცხოვრების ბრწყინვალე მხარეებს წინ აყენებს და წინააღმდეგ ამისა, ტანჯვა—წვალებას, მწუხარებას და სიგლახაკეს მალავს, ამით ქვეყნიური ცხოვრება აღწევს იქამდის, რომ თავის გარეგნობით ხალხს აბრმავებს, მით უმეტეს, რომ მისი წევრნი მზათ არიან თავისთავი მოატყუონ და კიდევაც იმ აზრს ადგანან, რომ თითოეული მათგანის მოვალეობაა, იყოს „ოპტიმისტი" (ოპტიმისტი—კაცი, რომელიც ყველაფერში მხოლოდ კარგ მხარეს ხედავს).

გაიყვანეს და მოკლეს რა იგი ბანაკს გარეშე, მთავართა „ამა ბოროტ სოფლისათა" „ამა სოფლის ღმერთის" ხელმძღვანელობით და თვალის მიდევნებით, მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი ენერგია მიაპყრეს ერთ წერტილს: ისინი მაცადინობენ შექმნან ისეთი „პროგრესი" (წინ სვლა), და გააჩაღონ ისეთი „ცივილიზაცია" (მოქალაქობა) რომლებმაც უნდა აჩვენოს, რომ ქვეყნიერობას ქრისტე არ ეჭირვება. „მთავართაა ამის სოფლისათა" გამოიჩინეს საკმაო გამჭრიახობა და თავის დასასრულ მიზნის უფრო საჩქაროდ აღსრულებისათვის ისინი ღებულობენ თავის რაზმში იმათაც კი, ვინც „ცხადათ სთვლის თავის თავს ქრი—სტიანედ"; იმათ უყენებენ მხოლოდ ერთ პირობას: მიიღონ სახარება პროგრესისა და აღიარონ, რომ ცხოვრება დღე ყოველ უმ—ჯობესდება. მომეტებული ნაწილი ზემო აღ-

ნიშნულ ქრისტიანებისა მზათ არიან არა თუ მიიღონ ეს პირობა, არამედ ამ მიზნის აღსასრულებლად, თუ საჭირო იქმნება, შესცალონ საღვთო წერილიც კი.

უფალმა კიდევ გვაჩვენა ჩვენ, რომ ქვეყნიური კმაყოფილების განშორებ თ არა თუ არაფერი არ დაგვიკარგავს, არამედ, წინაადმდეგ ამისა, ბევრიც შევიძინეთ. ჩვენი ახალი ინტერესები (შესახებ იმისა, ვინც მოგვანიჭებს სრულ საუკუნო სიხარულს) მეტად დიდათ გვაკმაყოფილებენ ჩვენ, ვინემ ისინი, რომლებითაც ჩვენ წინეთ ვცხოვრობდით და რომლებისთვისაც ვხარჯავდით ჩვენ ფულებსაც და ჩვენ დროსაც. ჩვენ წინანდელ მეგობრებს არ შეეძლოთ გაგება. რომ ჩვენ არ ვგრძნობდით არავითარ მოკლებას, „დაბნელებულ გონებით“ იმათ შეეძლოთ დანახვა მხოლოდ უმნიშვნელო ნივთებისა, რომლებსაც ჩვენ ჩამოვეცალეთ; იმათ არ ესმოდათ სიმდიდრე, მადლი და დიდება, რომლებიც მორწმუნეს აქვს ქრისტესთანა, „რამეთუ სათნო იყო (კეთილნება) მამამან, რათა ‧მას შინა ყოველივე სავსება დამკვიდრებად“ (კოლას. 1, 19). ეს დამოკიდებულება ჩვენი წინანდელ მეგობრებისა წაადგეს შემდეგომ შემთხვევას: ერთმა გლახაკმა მდიდრისაგან მიიღო ტანისამოსი და, ეჩქარებოდა რა მის ჩაცმას, განზე გადაყარა ის ძონძები, რომლითაც ის იყო შემოსილი, ხოლო მეორე გლახაკმა ძონძებითვე შემოსილმა დაინახა მხოლოდ ის, რომ მისმა ამხანაგმა ძონძები გადაყარა და საჩქაროდ გაიქცა იქიდან, თავის ძონძებში მაგრად ეხვევოდა, შიშობდა რა, რომ მასაცარ გადაუყარონ ეს ძონძები.

უფალმა აგრეთვე მოგვცა ჩვენ ნიჭი „ამ ბოროტ საუკუნეს“ იქით, რომლის ღმერთი სატანაა, შევხედოთ ჩვენ იმ საუკუნესაც, რომელიც მალე დადგება და რომელშიაც ქრისტე მეორეთ მოვა ქვეყანაზე და ყოველნი მის მიერ გამოსყიდულნი მასთანა იქნებიან, როგორც ამაზედ მოთხრობილია საღვთო წერილში (იუდ. 14, მათ. 25, 31—32; განც. 1, 7 დასხ.) „ვიდრე ‧ამადმე კვალად გებისა ყოველთა, რომელთა ‧ტყოდა ღ‧ერთი საუკუნითგან, პირითა ყოველთა წმიდათა წინასწარმეტყველთა მისაოა“ (საქ. მოც. 3, 21). უფროს ამისა ჩვენ დავიჭ‧ყეთ მისწრაფება არა ქვეყნურ ბედნიერებისადმი, არცა ღ‧ა საიქიოს ნეტარებისადმი,—ჩვენ დაუწ‧ყეთ ლ‧ოდინი იმ შემთხვევას, ‧ომელიც ახლოა, კარებთანა, და რომლის ლ‧ოდინი ყოველ წუთში არის ‧ეტ‧ერატესობა მორწ‧ულნისა. „რამეთუ თვით უფალი ბრძანებითა და ხმითა ანგელოსთ მთავრისათა და საყ‧ირითა ღ‧ვთისათა, გარდამოჩდეს ზეცით და მკ‧ვდარნი ‧იგი ქრისტეს მიერნი აღსდ‧ენ პირველად. მაშინ ‧ღ‧ა ჩვენც ‧ყოველნი ესე, რომელნი დაშთომილ‧ვიყენეთ, მათთანავე აღ‧ეტაცნეთ ‧ღ‧რუბლ‧ითა შემთხვევად უფ‧ლისა ჰაერთა ზედა, და ‧ესრეთ მარადის უფ‧ლისა თანა ‧ვიყ‧ოფ‧ოდეთ.“ (1 თესალ. 3, 16—17; 1 ‧ორინ. 15, 51—52). ამ სახით „გამოცხადდა მადლი ‧ღ‧ვთისა, მაცხ‧ოვნებელი ‧ყ‧ოველთა კაცთა, რომელიც ‧გვასწ‧ავლის ‧ჩ‧ვენ, ‧რომ ‧ჩ‧ვენ ‧უნდა განვაგდ‧ეთ ‧უღ‧ვთ‧ოებ‧ა და ‧ქ‧ვეყ‧ნ‧ური ‧გ‧ულის ‧თ‧ქ‧მ‧ნ‧ი, ‧ვ‧იცხ‧ოვ‧�თ ‧ამ‧ ‧ს‧ოფ‧ელ‧ს‧ი ‧უმ‧ნ‧ა‧ლ‧ყ‧ოდ, ‧ს‧ი‧მ‧ა‧რ‧თ‧ლ‧ი‧თ ‧დ‧ა ‧კ‧ეთ‧ილ‧მ‧ს‧ახ‧ურ‧ებ‧ი‧თ ‧დ‧ა ‧მ‧ოვ‧ელ‧ო‧დ‧ეთ ‧ნ‧ეტ‧ა‧რ‧ს‧ა ‧მ‧ას ‧ს‧ა‧ს‧ო‧ფ‧ებ‧ა‧ს‧ა ‧დ‧ა ‧გ‧ა‧მ‧ო‧ჩ‧ინ‧ებ‧ა‧ს‧ა ‧დ‧ი‧დ‧ებ‧ ‧ს‧ ‧დ‧ი‧დ‧ი‧ს‧ა ‧ღ‧ვთ‧ ‧ს‧ ‧დ‧ა ‧მ‧ა‧ც‧ ‧ხ‧ ‧ვ‧ ‧ ‧

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამის გამო მოსალოდნელია, რომ ეს დაგმობა გულ გრილად მიიღონ იმათ, რომელნიც ამ გზაზე დარჩენ. „განა ავანნა და ფარფარი—დამასკოს მდინარენი, უმჯობესნი არ არიან ისრაელების ყველა წყლებზე“? (4 მეფეთ. 5, 12). წამოიყვირებენ ისინი, ჩვენგან განშორებულნი. რა საჭიროა ფარისეველობა? რა საჭიროა წვრილმანობა? და როგორც მოსალოდნელიც იყო, თვით უძლიერესი უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენმა ყოფაქცევამ (მოქცევამ) იმ კაცებთ შორის, რომლებიც, გვარწმუნებდენ რა სიტყვით, რომ ისინი ქრისტეს ეკუთნიან, თავის ცხოვრებით არაფრით არ განსხვავდებიან იმათგან, ვინც საქეყნოთ უარყოფს მას.

მაგრამ ამ უსიამოვნოებაებს ჩვენ მოთმინებით გადვიტანთ, ამიტომ რომ ქრისტემან სთქვა: „უკეთუ სოფელი გძულობს თქვენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა“. (Iოან. 15, 18,); ამასთანავე ჩვენ ვიცით: ისინი, ვინც აუგებს ჩვენში ამ გრძნობას, ამას იქმიან იმიტომ, რომ არ იციან ჭეშმარიტება. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ კიდეე ცოტა ხნის წინ ჩვენ თვითონ ვიყავით მათ სიბნელეში და რომ საჭიროო შეიქმნა ძალა და მადლი ღვთისა, რომ გაენათლებინა ჩვენი დაბნელებულნი გონებანი. შემწეობა ამ ძვირფასულებისა, რომელთათვისაც მოკვდა ქრისტე, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მით, რომ ჩვენ განსაკუთრებულ გზაზე ვიდგეთ და მათთვის ვილოცოთ; და ჩვენ ვლოცვიდობთ, რომ ფარდა ჩამოეხადოს მათ თვალთაგან და იმათ დაინახონ, როგორია „ჩვეულება ჟამათა მათ ამის სოფლისათა“ (ეფეს. 2, 2,), რომლითაც ეგრე მეიდიდურობენ მათნი მთავარნი და აუცილებლად რა ბოლომდი მიიყვანს ის ყველას, ვინც მას მიყვება; ხოლო უმთავრესი ისაა, რომ მათ დაინახონ, რომ საუკუნო ცხოვრება—მხოლოდ ქრისტეს მიერ არს მისი გამომსყიდველი მსხვერპლის და მისი მკვდრეთით აღდგომის რწმენის საშუალებით. (რომ. 10, 9; საქმ. მოც. 17, 3, რომ. 4, 24, 25; 1 კორი 15, 1—4, 13—19 დოსხ).

„რომელსა რწმენეს ძე, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო, ხოლო რომელი ურჩ-იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრება, არამედ რისხვა ღვთისა დადგრომილ არს მის ზედა“ (იოან. 3, 36).

ასე ათავებს თავის მოთხრობას ყოფილი ურწმუნო.

არხიმანდრიტი ნესტორ.

სინამდვილე სახარებისა.

(გლადკოვიდგან).

ესე ეოკედი დაიწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ ეს�o არს ქრისტე, ძე ღვთისა. (ioa. XX 31).

გაგრძელება *)

ეველაფერი, რაც ესთქვიო, შეესება მათეს მარკოსის და ioanes სახარებას, როგორც მოციქულების მათეს, პეტრეს და ioanes ჩვენებას, რომელთაც თვით ისაღეს ქრისტე და იეუნენ მოწმენი მისი ცხოვრებისა, მოძღვრებისა და მოქმედებისა. მახარობელი ლუკა არ ეკუთვნის მოციქულთა რიცხვს და ამიტომ არ ეოფილა ეგრეთიეე თვითმხილველი მოწმე. თუმცა გადმოგვცა სთვალის მას (როგორც მარკოსს), როგორც ერთი სამოციდასთ მოწაფეთაგანს და უეჭველთ მიაწნია, რომ ემოაუსში მიმავალ ორ მოწაფეთაგან, რომელთაც გამოეცხადა მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე, ერთი თვით ლუკა იყო, თუმცა თითონ ლუკა ამბობს; ამიტომ მიგიღოთ იგი, როგორც ისტორიკოსი, შემკრებელი ბეჯითად გაძიებულად და შემოწმებულ ცნობებისა.

ლუკა თავის სახარების დასაწყისში ამბობს,

*) იხ. „შინ. საქ.“ № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მისი სახარება არის მოთხრობა საქმეთათვის გულისკენ ქმნილთა (რუსულში საქმეთაოვის სიუ-ლიად ცნობილთა—о совершенно извѣстныхъ событіяхъ), რომელნიც დასწერა მან ისე, როგორც მას გადმოსცეს ისეთმა პირებმა, რომელნიც დასაბამითგან თვითმხილველ და მსახურ-ეფოფილ-იესუს სიტყვისა მას და ამით იგი მოწმობს, რომ მისგან მოთხრობილი შემოსავლები და საქმენი არიან ჭეშმარიტი ისეთ მოწმეთა, რომელ თავსაც ზოგნი დასაბამითგან თვითმხილველნი იყვნეს, ზოგნიც მსახურნი სიტყვისა, ე. ი. მოციქულები.

დასაბამითგან თვითმხილველთა შორის, უმ-ჩვენელთა, უნდა ჩაითვლოს ეოფილაქტიდან ქალწული მარიამიც, რადგან ლუკას მხოლოდ მისგან შეეძლო გაეგო დაწერილებითი ამბავი ანგელოზის გამოცხადებისა, ელისაბედის მონახულისა, ბეთლეემში მოგზაურობისა, იესო ქრისტეს შობისა, მწყემსთა თაყვანის ცემისა, მაცქვისა, 12 წლის ყრმის იესოს იერუსალიმის ტაძარში დარჩენისა და აგრეთვე, უოფოთ, იოანე წინამორბედის შობისა. ამში ევანგელისტენს ჩვენ თვით ლუკა, რომელიც მოთხრობას ამ ამბებზე ათავებს ასე: „ხოლო დედანი მისნი დაიმარხნეს ყოველი ესე სიტყვანი გულსა თჳისსა“ (ლ. II, 51); კამოთქმა სიტყვანი ესე ამტკიცებს, თორმ უკეთა ზემოხსენებულსა, ე. ი. რაც აწერილია სახარების მთელი პირველი თავის მესუთე მუხლიდგან ვიდრე მეორე თავის მე—51 მუხლამდე შეიცავს მისი დედის ქალწ. მარიამის, სიტყვებს, რომელნიც ეს დაემარხნეს გულსა თჳისსა. ეველაფერი დასარჩენი, დაწერილი მესამე თავიდგან, ვიდრამდე ჭეშმარიტ ამბავი, როგორც თვით მოწმობს, მსახურთგან სიტყვისა მას, ე. ი. მოციქულთაგან. მოციქულების ჩვენებამ სამართლეზე ნათქვამია ზემოთ, ხოლო რომ ლუკამ მათი მოთხრობა სასარგებლოთ გადმოგვცა თავის სახარებაში, ამაში აქედგან დავრწმუნდებთ, რომ მოციქულმა იოანემ თავის სახარების დაწერის წინ გადათავსებერა მთელი სახარება ლუკასი. როცა იოანე თავის სახარებას სწერდა, მას ხელი ჰქონდა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატთა, რომ ტერტულიანე სწერდა ამ დროს, როდეს ქრისტიანობა ითელებოდა ბოროტ-მეგზებელ სექტად (წვალებად ტრუმოღერებად), ამიტომ იგი ვერ გაბედავდა ასე გაბედულად ეხსენებინა ეს სიტყვები, რომ მათნი ხამდგომლთ არ უოფიდიეო წაწერილი ბიბლიტან მოხსენებნა. „დაეკითხეთ თქვენ მატიანეებს (ამბობდა იგი) და თქვენ დაინახავთ, რომ მე მართალს ვლაპარაკობ!“ ეარსა, რომ იგი მართალს ამბობდა, ეს მტკიცდება ამ ეკვლენით, რომელიც ამ მოხსენებამ მოახდინა ტიბერიანესზე; რადგან სარწმუნოდ მიიღო ქრისტეს ღვთაება, ტიბერიანი არ სდევნიდა ქრისტიანებს და მას მეფობის დროს ქრისტიანობა თავისუფლად ეფეფლდებოდა რომის იმპერიაში.

ტერტულიანემ (წარმართი, რომელიც დაბადა 54 წ. ქ. შ.) შეიტანა თავის მატიანეში (XV, 44), რომ ტიბერიანესის მეფობაში, ბონტიოელ ბილატეს დროს, ქრისტე სიკვდილით დასჯილი იქმნა,—რომ იესო ქრისტე ანარ დამაარსებელი ქრისტიანულ სექტისა, რომელიც ძველი ბალე ეარეფლდა რომის იმპერიაში და რომელმაც ეკმაოწვია დევნულება იმპერატორ ნერონისა.

ბლინი მეორე, თანამედროვე ტერტიანისა, თავის წერილში იმპერატორ ტრაიანის მიმართ, მოწმობს ქრისტიანობის სწრაფად ეაეფლდებაზე მეორე ეზიაში, ქრისტიანობის ზნეობრივ სიფაქიზეზე და სიმედეფეზე, მიუხედავად ხსნტიეი დევნისა, და იმაზე, რომ ქრისტიანები თავანნს სცემენ ქრისტეს, როგორც ღმერთს.

თალმუდის მეორე ნაწილში, რომელსაც ეეეარა ჰქვია და რომელიც შედგენილია 390 წ. ქ. შ., ნათქვამია, რომ იესო ქრისტე იქმოდა ხსნაულებს, მაგრამ ამ სასწაულებს თალმუდი აწერს ბოროტი სულის მოქმედებას. თალმუდი სახოგადოთ ძლიერ მტრულად უექერის იესო ქრისტეს და, როგორ მზე ლაპარაკობს, ასეთ სიტყვებს ხმარობს: „დაღუშულ იქმნეს ხსენები მისი და ეანქარეებულ ხსენება მისი.“ თალმუდის ასეთ ეზიდ ცალმხრიანობასთან, რომელიც ამეორებს და სრულიადაც სპობს მის მნიშვნელობასს, როგორც ისტორიულ კეფეკა-ძიებისს ჩვენთვის ძეირფასია მისი მოწმობა, რომ იესო ქრისტე იქმოდა ხსნაულებს. თუ თალმუდის მწერლებმა, იესო ქრისტეს მოსასხარმა მტრებმა, ვერ უარეყეს ფაქტი მისი ხსნაულთ-მოქმედებისა, და მხოლოდ მიაწერეს იგი სატანის მოქმედებას, მაშ აქედან ის დასკვნა უნდა გამოეყვანოთ, რომ იესო ქრისტეს ხსნაულო მოქმედება—ეარეფელი ეჭვ ეარეფეა.

იოსეფ ფლაბიანესი იუდეველი ისტორიკოსი, რომელიც დაბადა 37 წ. ქ. შ. თავის წიგნში „ურიათა სიძველენი“ (წიგ. 18, თ. 3, ეარ. 3) ასე ამბობს იესო ქრისტეზე:

ამ ხანაში ცხოვრობდა იესო, ბრძენი კაცი, თუ სხვა სახელი არ შეეკეიძლია დავარქვათ მას, ეარნა ხალხი კაცი: რადგან იგი იქმოდა საკვირველ საქმეებს და ხსნაულიდა მათ, ვინც სიამოვნებათ დებულობს ჭეშმარიტებას. მან ბევრი მომხრეები იშოვნა, როგორც ურიათა, ისე წარმართთაგანაც. იგი იყო მესია (ქრისტე). მიუხედავთ ეეეარცმეთა საკვდილისა, რომელიც ბილატემ განუწესა მას ხალხის მთავრთა მოთხოვნილებათა, მისმა ბრალველმა მოწაფეებმა არ დაუტოვეს უწინდებური სიყვარული მისდამი. იგი ეცხოველა მათ ცოცხალი მესამე დღეს შემდეგ სიკვდილისა, როგორც წინასწარ აუწყეს წინასწარმეტყველებმა ამაზე და სხვა ბევრ ცხოვრების ხსნაულებზე; მისი მორწმუნენი დღემდე არ-სებობენ ქრისტიანების სახელთთ, რომელიც მათ დარქმეთ მისგან.

ზემო მოყვანილი მოწმობა იოსეფ ფლაბიანისა იესო ქრისტეზე ითოეეეა მისი ისტორიულ ეეეიერებში მოეკვეს ისტორიკოს ეკლეეეს (წ. I თ. 11.), როგორც ეეეეეეეი და ნაშდკიდი თქმულება, რომელიც უსაფეფოთ იოსეფს ეეეეეეეს. მაგრამ ეეეეეეე

ამაზე შეგვაძლია უპასუხოთ: 1) ბევრი თხზულებება მიერკედ სიმი სიგვენის ქრისტიანე მწერლებისა (კლესენტიანის) არ მოსულა ჩვენამდის; შეიძლება ამ დაკარგულ თხზულებებში იყო მოთავსებული ხსენებული სიტყვები იოსეს ფლავიოსისა; 2) იოსეს ფლავიოსი მოწმობს ისეთ შემოსვლებზე, რომელნის სინამდვილეში ამ დროს ეწვა არაკის ‖ ქორია; ამიტომ ქრისტიანების დამცველებს არც საწერობა აიძულებდათ, რომ დეკმოწმებათ იგი; ეს მოწმობა ეხლა შეიქნა საჭირო, როდესაც ათეისტებმა ახალი ეერიში მიიტანეს სახარების სინამდვილეზე; 3) იოსეს ფლავიოსსაც, როგორც არა ქრისტიანმა, მიტომ კი არ მოგვეს ასეთი მოწმობა იესო ქრისტეს მესიაზე, რომ მან ირწმუნა იგი, როგორც მესია არამედ მიტომ რომ მან, როგორც ისტორიკოსმა, საწერად სცნო ადენაში თავის მატიანეში სახოგადოდ ტრობილი ამბები (ფაქტები).

ამ მოწმობის მთლად უარყოფას ვერ ბედავს ვერც რენანი, რადგან ვრძნობს, რომ იოსეს ფლავიოსის სიტყვე იესო ქრისტეზე უფრო არა სარწმუნო და ბოგუბარი იქნებოდა, ვიდრე ეს მოწმობა. ეი რატომ ადიარებს იგი ამ მოწმობას ნამდვილად იოსეს ნათქვამად, მაგრამ ფიქრობს, რომ ზოგიერთი ადგილი ქრისტიანის ხელ-შეხებულია, ამიტომ მისი აზრით სიტყვების მაგიერ; იგი მესია, უნდა გვითხულობდეთ: „იყო იგი მესიად ეო წოდებული“. რაც ასეთი უსაფუძვლო შესწორება შეაქვს, რენანი ვერ ამხნევებს, რომ იმოწმებს ურიათა ძველად-მოარეების სიტყვებს, რომლებიც ითხოვდენ პილატეს: „ნუ დასწერ მეფეად ურიათა; არამედ ვითარმედ მან თქვა, მეფე ურიათა ვარ მე“ (ი. XIX, 21), ვითომ ასეთა გადადგ-გადმოდგმა სიტყვებისა შესაძლოდ საქმის არსებს. და, იოსეს ფლავიოსი არ იცნობდეს იესო ქრისტეს მესიად; ჩვენთვის საკმარისია მისი მოწმობა, რომ იესო წოდებულ იქმნა მესიად, იქმოდა საკვირველ საქმეებს და გამოეცხადა მოციალულებს ცოცხალი სამი დღის შემდეგ თავის სიკვდილისა.

ორი არჩევანი და მათი შედეგი.

ქალაქ ქუთაისში ამ მოკლე ხანში ორი არჩევანი მოხდა. არ გეგონოთ კი სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევანი. არა, ეს უბრალო შინაური არჩევნებია, შინაური, ადგილობრივი ეკლესიის მოსაპსახურეთა. მთავარანგელოზის სასაფლაოს ეკლესიაზე ირჩიეს მღვდელი და პეტრე-პავლეს ეკლესიაზე მნათე. თავის თავთ არც ერთი და არც მეორე არჩევანი დიდი ყურადღების ღირსი არ არის, ანვის რათ უნდა ეინტერესებოდეს განსაკუთრებით მნათეს არჩევა (თუმცა ამ საგანს ერთი სასულიერო ჟურნალი თელავ ემსახურება.), მაგრამ ამ არჩევნებს ისეთი შედეგები მოჰყვა, რომლეიც ასე თუ ისე ახასიათებენ ჩვენი ქუთაისის სამღვდელოების ზნეობრივ ფიზიონომიას

საქმე იმაშია, რომ ხსენებული ორი ეკლესიის აუარებელ მრევლთაგან მხოლოდ უმცირესი ნაწილი მოხვდა ამ არჩევლებთა რიცხვში, უმრავლესობა კი დარჩა გარეშე ისე, ვითომ იგი სულ არ შედგენდეს ამ ეკლესიების სამრევლოს. მაგ. მთავარ ანგელოსის ეკლესიის მრევლთაგან, რომელიც უნდა შედგენ—დეს არა ნაკლებ 600—700 კომლისას (ვანგარიშობთ მხოლოდ ერთი მღვდლის სამრევლოს) არჩევნების უფლება მიეცა მხოლოდ 87 კომლს, რომელთა სახელი და გვარი აღმოჩნდა ეკლესიის საბუთში, ეგრედ წოდებული, აღსარების სიაში, ხოლო ამაზე მეტ მრევლთაგან პეტრე-პავლეს ეკლესიაზე აღმოჩნდა მხოლოდ 300 ხმის მექონე სამრევლო. აშკარაა მამა მღვდლებს რაღაც არა საკეთილო და ზნეობრივ მიზეზთი დაუფარავთ ნამდვილი რიცხვი თავის სამრევლოისა. მაგრამ დამალვაც არის და დამალვაც. კაცმა რომ რამე დამალო, ისე მაინც უნდა დამალო, რომ დამალული თვალში არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჩხირებოდეს მოპარული მამალივით. ჩვენი მღვდლები კი ვერ მოქცეულან ასე ხერხიანად. ისეთი ოჯახები გამოუტოვიათ სიაში, რომლებიც თითქმის ძირითადი მოსახლენი არიან ქუთაისში, ბევრიც უშრომნიათ ეკლესიისათვის და სცხოვრობენ ეკლესიის გარშემო, იქვე, კარი-კარში, როგორც იტყვიან.

როგორც ამბობენ, კარს გარეშე დარჩენილი უმრავლესობა ორივე ეკლესიისა საჩივარს აპირებს ამის თაობაზე. მთავარ-ანგელოსის ეკლესიის მრევლთა უმრავლესობა, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, არ სცნობენ 87 კომლისგან არჩეულ მღვდელს თავისათ. ამიტომ შესაფერ შუამდგომლობით უნდათ მიიქცენ სათანადო მართებლობისადმი, ნება მიეცესთ საკუთარი მღვდელი აირჩიონ, რადგან თუ 87 კომლს კი საკუთარი მღვდელი ეკუთვნის. მით უფრო საჭიროა იგი 500—600 კომლისათვის.

ჩვენი აზრით საჭირო იყო თავიდგანვე გამორკვევა, თუ ვის ჰქონდა არჩევნების უფლება და შემდეგ არჩევნები მოხდარიყო თორემ რა არჩევნებია 87 კაცმა, რომ 700 კაცის მაგიერ მოხელე აირჩიოს. ამიტომ სამართლიანია უმრავლესობის გოდება წინააღმდეგ ყოფილი არჩევნებისა და უფრო სამართლიანი და მისაღებია ხალხის საყვედური ხსენებულ ეკლესიების მღვდლების მიმართ, რომლებსაც უმრავლესობა ღიზსი არ გაუხდა საბუთში შეტანისა. ვერაფრით ვერ გავამართლებთ მ. მ. მოძღვრების ასეთ სმენილს, რომლებმაც კარგათ იციან, თუ რა საჭიროა შემთხვევის დროს აღსარებითი სია, როგორც საბუთი.

უფრო სამწუხაროა, რომ ასეთი უკანონობა ხდება ადგილობრივ სასულიერო მართებლობის თვალ წინ. ნუ თუ ბლაღოჩინის საქმე არ არის თავის რევიზიის დროს ყურადღება მიაქციოს სამღვდელოების ასეთ წინათგანზრახულ დაუდევრობას? ჩვენ ეშვი არა გვაქვს, რომ მ. ბლაღოჩინს სამჯერ მაინც ენება გადათვალიერებული ის საბუთები, სადაც მოეღო სამრევლოს მცხოვრენი უნდა იყვენ აღნუსხელნი და ნუ თუ მან ვერ შამჩნია თავის დროზე თავის ხელქვეითთა ასეთი უკანონო საქციელი? იმის თქმა, რომ ბლაღოჩინს შეეძლო არ სცოდნოდა მრევლთა რაოდენობა, დაახლოებით მაინც, შეუწყნარებელია.

ქ. ქუთაისში 50 ათასი მცხოვრები ითვლება, აქედან რომ 30,000 მართლმადიდებელი მივიღოთ, გამოვა, თითეული სამრევლო ეკლესიას 4000 კომლიანი სამრევლო ჰყავს. რაც უნდა დავამციროთ ეს რიცხვი, 87 ამდის მაინ არ დავა. ასეთ ობრალო მოსაზრებასაც კი უნდა ეკარნახებია მ. ბლაღოჩინისთვის შესაფერი ზომების მიღება.

შესანიშნავია სხვათა შორის მნათეს არჩევნები პეტრე-პავლეს ეკლესიაზე. ორჯერ მოხდა ეს არჩევნები და ხალხმა ორჯერვე ყოფილი მნათე ბ. ი. ჭითავა აირჩია. არც შემცდარა ხალხი ამ შემთხვევაში. ბ. ჭითავამ დიდი სარგებლობა მოუტანა ხსენებულ ეკლესიას. იგი ჯერ, როგორც ალმაშენებელ კომიტეტის წევრი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა თვით ეკლესიის აშენებაში. შემდეგ მნათეთ დანიშნისა, მან თავის მაცადინობით გაისტუმრა 1000 მანეთზე მეტი ეკლესიის ვალი, შეამკო ტაძარი მხატვრობით, შესძინა მას ალმოსავლეთით საკმაო ვრცელი ადგილი 1000 მანეთათ ღირებული; გარდა ამისა, როგორც სასაფლაოს სამზრუნველოს წევრმა, მან ორმოცა საგნამდე ქვიტკირის გალავანი შემოავლო სასაფლაოს იმ სასაფლაოს, რომელსაც ვერაფერი გაუკეთეს ვერც მის წინ და ვერც მის შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ ამ სასაფლაოს სამზრუნველოს წევრებათ დღეს თვით მღვდლები და სხვა გავლენიანი პირები ირიცხებიან. ასეთ ეკლესიის მომჭირნე ღვთის მოყვარე ადამიანს ხალხმა, რა თქმა უნდა, ხელი არ შეუშვა, თუმცა თითონ ითხოვა თკით ყ-დ სამღვდელოსაგან განთავისუფლება. ბ. ჭითავას ჯერ არ მოწყენია ეკლესიის სამსახური და, მზათ არის სიკვდილამდი ემსახუროს მას და თუ მიუხედავათ ამისა, ხალხს მაინც წინადადება მისცეს სხვა მნათეს არჩევისა, ამის მიზეზი ეკლესიის უპირატესი დეკანოზია, რომელსაც ბ. ჭითავა არა საიმედო კაცათ მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნია. კარგი იქნებოდა მ. დეკანოზს გამოეცხადებია საქვეყნოთ, თუ რაში მდგომარეობს ეს მისი უკეთილ-საიმედობა და რით დიმსახურა ამდენი ეკლესიისთვის სასარგებლო შრომის მიმღებმა ადამიანმა ასეთი უნდობლობა? ამას თხოულობს დღეს მთელი პეტრე-პავლეს ეკლესიის სამრევლო.

ს. კირკიტაძე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

როგორც გაზეთი „Утро Рос.“ გადმოგვცემს სახელმწიფო საბჭოს წევრები უკმაყოფილონი არიან საბერერის ახალ დანიშნულებაზე, რომელიც ყოველთვის წინაამდეგი იყო სინოდისის თავისუფლებისა და ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლისა.

იგივე გაზ. 17 მაისიდგან გვატყობინებს, რომ პალატამ განიხილა საქმე ეპისკოპოსის მიხაილისა, რომელსაც ბრალდებოდა წიგნაკის გამოცემა შესახებ პირველი მარტისა. პალატამ ეპისკოპოსს წლინახევრის ციხე მიუსაჯა. პალატის განკარგულებით იგი დაუყონებლივ დაკავეს.

პაპის პროტესტი. 16 მაისი გამოვიდა პაპის ენციკლიკა მთელი ქვეყნიერების ეპისკოპოსების მიმართ. ამ ენციკლიკაში გამოთქმულია მწუხარება შესახებ პორტუგალიის ძალმომრეობითი მოქმედებისა ეკლესიის წინაალმდეგ, როგორც მაგ: ძალმომრეობითი დახურვა სარწმუნოებრივი ორდენებისა, კათოლიკეთა დღესასწაულების აღკრძალვა, უარყოფა რელიგიური ფიცისა, საზოგადო შკოლებიდან სამღვთო სჯულის განდევნა, განქორწინების შემოღება, თვითნებობითი ჩამოყენება ეპორტოს ეპისკოპოსისა. „პორტუგალიის მართველობამ, სწერია ენციკლიკაში, თავის მტრული დამოკიდებულობა ეკლესიის მიმართ დაადგირგვინა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან დაშორებით, რაც სახელმწიფოს ღვთისგან განშორების მომასწავებელია, და მძარცველობითი კანონით შესახებ ეკლესიის ქონებისა. ტირანიული დევნა სარწმუნოებრივ ნიდაგზე მიმართულია, რომ გასწყვიტოს კაშირი პორტუგალიის ეკლესიასა და რომს შუა“.

პაპი უარს ყოფს სახელმწიფოსა და ეკლესიის გაცალკევების კანონს, აქებს პორტუგალიის ეპისკოპოსს და სასულიერეროპას, რომლებიც გმობენ პორტუგალიის მართებლობის მოქმედებას და ურჩევს მას დიაცვას კავშირი წმიდა ტახტთან

ბაბა ძმა იმ ჭეს, რაც მთელი სუფუნოებით უთესია, მაგრამ ვა რომ ბეცი მოაზრენა ბრძენ მისდგეგენ დასაგლეთ ეგროპის მაგალითს!

იმავე გაზეთის სიტყვით საბერერს წინადადება შეუტანია სინოდში, ნება მიეცეს მას, აუკრძალოს გაზეთებს სინოდის რეზოლიუციების გამამეღვანება. სინოდს ეს წინადადება აღტაცებით მიუღია.

ნეტა რათ ეშინია ახალ ობერ ბროკურორს სინოდისა!?

სა ხალხო განათლების მინისტრის 29 იანვარის ცირკულიარის ძალით სტუდენტს უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებისთვის ეძლევა ვადა 7 $^1/_2$ წელიწადი მედიკურ ფაკულტეტზე და 6 $^1/_2$ წ. დანარჩენ ფაკულტეტებზე. ეხლა მინისტრს წინადადება მიუცია უნივერსიტეტებისთვის უეჭველათ იხელმძღვანელონ ამ ცირკულიარით და ვისაც ამ ხნის განმავლობაში არ მოუსწრია კურსის დასრულება 526 სტ. ძალით უნდა გამორიცხულ იქმნენ უნივერსიტეტიდან, რის შემდეგ უნივერსიტეტის მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემლობას ნება ეძლე იშუამდგომლოს მათ ეკზამენებზე დაშვებისთვის ექსტერნებათ. ამასთანავე ნაბძანებია ანგარიშში მიიღონ 1905—1906 წლების ორი ნახევარი სასწავლო წელიწადი.

ამ ცირკულიარის ძალით, როგორც იუწყება გაზ. „Школа и жизнь“ პეტერბურგის უნივერსიტეტიდგან უდნა გამოირიცხოს 1000 სტუდენტი, ხარკოვიდგან 300 და კიევიდან 1500.

ერთი მხრით სამწუხაროა ასეთი მკაცრი განკარგულება, მაგრამ მეორე მხრით იქნებ სასიკეთო აღმოჩნდეს და ბოლო მოეღოს სტუდეტების სიზარმაცეს და უსარგებლო ,დროს ტარებას.

უწ. სინოდს გადაუწყვეტია: დღეიდგან ხუთი წლის განმავლობაში ყოველ სული წმიდის მოფენის ღღესასწაულზე იკრიბებოდეს ეკლესიაში ფული გადასახლებულ რუსთა ეკლესიების და შკოლების მოსაწყობით.

ახალი საშუალება ჭლექის წინააღმდეგ.

გაზ, „Россія“ ფრანგულ გაზეთ „Matain“-ის სიტყვით გადმოგვცემს, რომ ქ. ბუდაპეშტში ექიმ შენდეფფს ჭლექის წამალი გამოუგონია, რომელსაც რადიოაქტიური იოდანი ეწოდება. ამ სითხეს ტანში ასხამენ ავათყოფს. ფილტვების ჭლექიან ავათყოფს მეათე შესხმას შემდეგ უკვე თვალსაჩინოთ ემჩნევა უკეთესობა. სისხლის რწყევა და მოვლენანი ჭლექისა, როგორც მაგ. ღამის ოფლი, უმადობა და სისუსტე მალე ისპობა. ავათმყოფები მატულობენ სიმძიმეს და ფიზიკურ უკეთესობას, რომელსაც ყოველთვის თან მოსდევს სულიერიც—სულის სიფხიზლე, რაც თავის თავათ ნახევარი გამარჯვებაა ავათყოფობაზე. ბერნგეიმს ეს წამალი 75 ჭლექით ავათმყოფზე უცდია და იტყობინება, რომ იგინი ეხლა ყველანი კარგათ არიან და თავის ჩვეულებრივ სამუშაოს ადგიან, რადგანაც ბევრი მათგანი მუშა ხალხია და თვით უკეღმართ პირობებში იმყოფებიანო.

ამ საშუალების შესახებ თვით ბერნგეიმს წაუკითხავს მოხსენება ჭლექის წინაღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო კონგრესზე და ამბობს, რომ „ექიმ შენდეფფმა საუკეთესო გამოკვლევა მოახდინაო, მისი საშუალება სრული წამალია ამ სენის წინაღმდეგ. იგი უვნებელია, ყოველთვის მოქმედებს და არჩენს ჭლექს უმეტეს შემთხვევაშიო“. წამალი ყველის ჭლექზედაც კარგათ მოქმედობს თურმე.



ბ. ხორისტს.

ჩვენ წერილს შესახებ საეკლესიო გალობისა ქალაქ ქუთაისის ეკლესიებში [1]) მეტათ გაუწიწმატებია ვიღაც ხორისტი. მეტათ აქებს საადგომო გალობას, ე. ი. თავის თავს და ჩვენ ცუდშეხედულობას ამ გალობაზე ჩვენ სიმთვარლეს აწერს. დავარწმუნებთ ბ. ხორისტს, რომ ხელი არ ლოთობს მით უფრო, როცა წირვაზე მიდის, მხოლოდ „ხელობს“, ე. ი. ვიფობს, რადგან სიმართლეს ამბობს, სიმართლისთვის კი მადლობელი არავინ არის, ყველა ებღუზება, ყველა ებუტება და მტრად უხდება. სწორეთ რომ მთვრალს და გიჟს უნდა მოეწონოს ის საეკლესიო გალობა, რომელიც ერთ „თავთ კიევლ-ჩხიევლ-ბღავილისაგან შესდგება. თუ ბატ. ხორისტის ,ბ,ის არის მთელი „ხორო“ და მისი „რეგენტი“ დღეკნდელ თავის გალობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ხოროს გაუნჯობესობა არ მოელის და მით უფრო სასურველია მისი განახლება, თუ შეიძლება, თავიდან ბოლომდი

ბ. ხორისტი მეტათ აქებს უ. ლოტბარის გალობის ნიჭს და მის შრომის მოყვარეობას. ამაზე მხოლოდ ბრძნული ქართული ანდაზით შეგვიძლია უპასუხოთ: „ფიცი მჭამს, ბოლო მაკვირვებს“. მაგრამ ნიჭსაც და შრომასაც მოხმარა უნდა და მოხმარას ცოდნა. სწორეთ ამაზე იტყვის ,ალეტი: „ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მიხმარების“. მე რომ გალობის ნიჭი მქონდეს და გალობა არ ვიცოდე, რა გამოვა, ან რომ შრომა მოყვარდეს და ჩემი შრომიდან არაფერი გამოდიოდეს, რა იქნება? ნიჭით კაცი არც იქება, არც იგინება, ნი-

*) ‘ინ საკ. № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქი ბუნებითია, უმაღლესი არსებისაგან ბოძებული, იგი „ცოდნით მოიხმარება“ და თუ ცოდნა არ არის ნიჭიც მკვდარი თანხაა. არ გვინდოდა გველაპარაკა, ბ. ლოტბარზე და მის ნიჭზე, რადგან „ჩიტი დევნათ არ ღირს“. მაგრამ ხორისტის ბრალია. წინა წერილში არც სახეში გვქონია მაინც და მაინც ლოტბარი დ გვემცირებია, ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვემხილებია საკრებულო ტაძრის უადგილო მომჭირნეები, რომლებიც რაღაც გროების გულისთვის ყურადღებას არ აქცევენ საღვთო საქმეს, რომლებსაც საეკლესიო გალობა ღვთის მსახურების მხოლოდ ფორმალურ მხარეთ მიაჩნიათ და არა მის არსებით ნაწილათ. ჩვენ გვინდოდა მათთვის გვეთქვა, რომ სულ ერთი არ არის „თათრულათ იგალობებ თუ სპარსულათ“ ქრისტიანეთა ტაძარში; გვინდოდა გვეთქვა, რომ თუ გალობაზე გადადებულ ფულს შეეკვეცება ფრთები, რატომ არ შეიძლება წირვა ლოცვაზე გადადებულ ფულსაც, ე. ი. მოსამსახურე მღვდელ-დიაკვნების ჯამაგირსაც ჩამოაკლდეს ცოტა რამ? ნუ თუ მარტო გალობას უნდა აზღევვინონ ყველაფერი? და რა განტევების თხა გამოჩნდა ასეთი ეს გალობა?

ტყუილა გვისაყვედურებს ბ. ხორისტი, რომ ჩვენ ნორჩი ვარდის დაჭკნობა გვინდა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ვარდი თავის ადგილზე გაიშალოს და ჩვენ წარმოგვიდგეს სრული თავის შვენებით. ეკლესია სასწავლებელი და ნიჭის სავარჯიშო ალაგი არ არის, აქ ყოლიფერი სრული უნდა იყოს, უნაკლო, უზადო. ვარდი ბაღში უნდა გაიშალოს და არა თაიგულში, სადაც იგი მხოლოდ სურნელებას უნდა ჰფენდეს და თავის სრული მშვენებით იზიდავდეს და ხიბლავდეს ადამიანის თვალს.

ათასი სამშობლოს ღალატი და ნიჭის მკვლელობა რომ დაგვწამოს ბ. ხორისტმა, ჩვენ მაინც ვერ შეურიგდებით და საეკლესიო გალობას ვერ ვუწოდებთ იმ ღრიალს, რომელიც, სამწუხაროთ ჩვენდა, ყოველ კვირა უქმი დღეს გვესმის საკრებულო ტაძარში, რომელიც სისრულის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ კიდევ განმეორებით და ხაზგასმით მოვახსენებთ ბ. ხორისტს, რომ არავითარი საქმე არა გვაქვს ბ. ლოტბართან, არამედ მასთან, ვისიც ხელშია დღეს საკრებულო ტაძრის გამგეობა და რომელიც ასე უდიერათ ეპყრობა საღვთო საქმეს. აი სწორეთ ამ მხრიდგან მოველოდით ჩვენ ჩვენი წერილის პასუხს და არა ბ. ხორისტიდან, რომელის არსებამა მხოლოდ პირველისგან არის დამოკიდებული.

ხელი.

კვირიდამ კვირამდე.

თანახმად უწმ. სინოდის ბრძანებისა, სინოდის კანტორის წევრთაგან შემდგარმა კომისიამ ჩაიბარა სემინარიის ძველი შენობა, რომელიც ამას იქით კანტორის კუთვნილებას შეადგენს. თანახმად სინოდისვე ბრძანებისა, კანტორამ უნდა მოიხმაროს ეს შენობა,—გადიხადოს ის ფული, რომელიც დახარჯულია ახალი სემინარიის შენობის აგებაზე ვაკეში სინოდის თანხიდან და აგრეთვე დააკმაყოფილოს სხვადასხვა საჭიროებანი ქართლის ეპარქიისა. როგორც გავიგეთ, კანტორამ დაადგინა ეს ძვირფასი განძი საქართველოს ეკლესიისა გააქიროს და ალებულის ქირით ნაწილ-ნაწილად იხადოს სინოდის ვალიც და ნელნელა ეპარქიის საჭიროებანიც დააკმაყოფილოს. გაქირავდება მთელი შენობა, გარდა ეკლესიისა, რომელიც ეპარქიის მთავრობის სრულს განკარგულებაში იქნება. გადმოგვცემენ იმასაც, რომ კანტორას სრულიად უარუყვია აზრი სემინარიის შენობის გაყიდვის შესახებ. ამ რიგად, ეს შენობა ისევ წმ. ეკლესიას რჩება.

თფილისში არის ძველი უკვე გაუქმებული ქართული სასაფლაო, რომელსაც ეწოდება ვერის სასაფლაო. ეს დიდი ადგილი ოდესღაც გაბაშვილებს შეუწირნიათ ვერის წმ. ნიკოლოზის ტაძრისთვის. ადგილს მშვენიერი მდებარეობა აქვს და ძალიან ძვირფასიც არის. „ქალაქის მამებმა“ მოისურვეს ამ წმიდა ადგილის გამოყენება თავისებურად და უნდოდათ აქ გაემართნათ „სკეტინრინკი“, „ტრეკი“ და სხვა გასართობ-სამხიარულო „დაწესებულებანი,“ მაგრამ არა ნაკლებად გამოსადეგია ეს ადგილი სასულიერო უწყების საჭიროებათათვის. სასულიერო უწყებამ უბრძანა ადგილობრივ ეკლესიის კრებულს და სამზრუნველოს გალავანი შემოევლოთ ამ სასაფლაოსთვის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაეცვათ იგი მეზობლების მითვისებისაგან და სხვადასხვა უსუფთაობათაგან. სამზრუნველოც გულმხურვალედ შეუდგა გალავნის გაკეთებას, მაგრამ ქალაქის მამებმა დაინახეს, რომ ძვირფასი ადგილი ხელიდა ნელცლებათ და მიმართეს სოლოლაკურს ხრიკებს", დროებითაც კი შეაჩერეს გალავნის შენება პოლიციის დახმარებით, მაგრამ, როგორც გარდმოგვცემენ ამ სასაფლაოს საქმეში ჩარეულან ეკლესიის გულშემატკივარი და გავლენიანი პირები და იმედული დია, რომ ეს ადგილი, ეკლესიისთვის შეწიეკლესიასვე დარჩება.

---

8 მაისს გარდაიცვალა ექსარხოსის კანცელარიის საქმეთა მმართველი ა. ბელიავსკი თანამოსამსახურენი იცნობდნენ მას პატიოსან, მიუდგომელ და სიმართლის მოყვარე კაცად. მის მაგიერად დროებით თანამდებობის აღმასრულებლად ექსარხოსმა დანიშნა განსვენებულის თანაშემწე დობროვოლსკი.

კავკასიის ქალაქებში არსებული საქალებო სასწავლებლები წმ. ნინოს სახელობაზე იმყოფებიან ნამესტნიკის მეუღლის გრაფინია ე. ა. ვარანცოვ-დაშკოვის უწყებაში. ექსარხისმა, თანახმათ გრაფინია ე. ა. სურვილისა, გაგზავნა ამ სასწავლებლებში საღვთო სჯულის ეკზამენებზე დასასწრებათ განჯაში არქიმ. ანტონი და ქუთაისში დეკ. მიხ. პაშკევიჩი, საოლქო მეთვალყურე საექსარხოსო სამრევლო სკოლებისა.

ყ.-დ სამღვდელო ლეონიდი ამ ზაფხულს მარტვილში გაატარებს, სადაც მისი მეუფება უკვე ჩაბძანდა.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა კონონ პროექტი შესახებ სამეურნეო საგნების შემოღების პირველ დაწყებით სამრევლო სკოლებში.

როგორც გაზ. „У. Р." იუწყება პეტერბურგლ გამორიცხულ 500 სტუდენტს უკანვე ღებულობენ, გარდა გოალიცოონურ კომიტეტის წევრებისა და მოქმედ ობრტრუქციონისტებისა.

თანახმად უწმიდესის სინოდის უკაზისა, ყოვლად სამღვდელო დავით ალავერდელი პირველი ივლისიდან ინიშნება სოხუმის ეპარქიის მმართველად ნაცვლად ყ. დ. სამღვდელო დიმიტრისა, რომელიც ორის თვით დასასვენებლად მიდის რუსეთში.

---

26 მაისს ღირსი მ. დავით გარეჯელის ხსენების დღეს, ექსარხოსმა სწირა მამა დავითის ეკლესიაში; ხალხი ჩვეულებრივათ მრავალი იყო და ამინდიც ხელს უწყობდა. ექსარხოსმა რავდენიმე—5—6 ასამაღლებელი:—გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, „რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩვენო," „რათა ძლიერებითა შენითა", „რამეთუ შენი არს სუფევა" და სხვ. ქართულად ბრძანა. გამოთქმა ქართულის სიტყვებისა არ იყო ურიგო და ეტყობა, რომ მათ მეუფებას ბევრი უმაცადინია ქართულად ასამაღლებელის თქმის შესასწავლად. ხალხი დიდათ ნასიამოვნები დარჩა.

როგორც ვიცით, პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი საქიმოდ წამობრძანებულა და უკვე ჩამოსულა კიდეც წყლებზე კავკასიაში. ექსარხოსი მობრძანდება მიტროპოლიტის სანახავად კისლოვოდსკში.

სინოდის კანტორამ დაადგინა მოახდინოს რემონტი ძველი სემინარიის შენობისა; რემონტი იქნება მხოლოდ გარედან და მსუბუქი.

კარგა ხანია აღძრულია დავა მარტვილის მონასტრის და დადიანების მემკვიდრეთა შორის მონასტრის ადგილ-მამულის შესახებ. ეხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მარტვილის მონასტრის რწმუნებულს ნაფიც ვექილს სტალინსკის მოუგია საქმე და ამ რიგათ მონასტრისთვინ შეწირული ადგილები მონასტერსავე დარჩება და მარტვილის მონასტერი აღდგენილ იქნება ეხლანდელი დაცემული მდგომარეობიდან.

როგორც გავიგეთ, ექსარხოსი-არქიეპ. ინოკენტი საგარაკოთ მიბრძანდება შავი ზღვის პირზე ერთ-ერთს აგარაკში ბათუმთან ახლო.

თფილისის ფერცვალების დარიის მონასტრიდან სადღაც წავიდა ამ ერთი კვირის წინათ მღვდელ-მონაზონი ილარიონი (მანგოშვილი); სამი კვირის წინათ კი სადღაც წავიდა იმავე მონასტრის მორჩილი გიორგი ეპიტაშვილი.

---

26 მაისს, პალატის სესიამ დაასრულა ლვდელ ზოტიკე ჩიქვილაძის და მისი ძმის თომა ჩიქვილაძის საქმე. მათ ბრალდებოდათ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ჩხარის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება, აგიტაციისა და პროპაგანდის გაწევა არსებულ წესწყობილების და სარწმუნოების წინაარმდეგ, წითელ რაზმელების მეთაურობა, ყვირილის შეტაკებაში მონაწილეობის მიღება და სხვ. პალატამ დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ზოტიკე ჩიქვილაძეს 6 წლის და თომას 4 წლის კატორღა.

(კოლხიდა.)

სიტყვა,

თქმული გარდაცვლებულ დეკ. კოდრატე ჩაჩიბაიას მეუღლე პარასკევას (იგივე პაშა) საფლავზე მეორმოცე დღეს 26 მარტს 1911 წელსა ს. კიწიაში.

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულხარ შენ დღეს და ადგილი განსასვენებელი მიგეღის შენ". (წარდ. სულ. სამოც.)

სულიერო შვილო, საყვარელო ნათესაო და ძვირფასო მეგობარო პაშა! სული და გული მიწუხს და თვალები მწარე ცრემლსა ღვრის, რაცა შენს წასრულს ვიგონებ და დღეს კიდევ ახალ გაზრდა, ჯანმრთელს, ოჯახის ბურჯს, ქმარს შვილის ნუგეშს, ნათესავების სასიქადულო და სასახელო ადამიანს, გხედავ უმოძრაოთ, ხელ ფეხს შეკრულს, ენა დადუმებულს, უგრძნობლათ და უსულოთ მდებარეს ამ შავ-ბნელ საფლავში. რათ მარგუნა მე განგებამ მოხუცებულს, შენს საფლავზე წავიკითხო ეპიტაფია და გიძღვნა სამგლოვიარო და საუკუნოთ გამოსათხოვარი სიტყვა, მაგრამ რგებულს და წილხდომილს უნდა ვემორჩილოთ და გაუძლოთ კიდეც. ორ თვეზე მეტმა გამოცდილებამ, ჩვენ და სამწუხაროდ დაგვარწმუნა, რომ შენ ნამდვილ უღალატე შენს ბედნიერ ოჯახს და შენ ქმარშვილს. შენ არა ხარ ის პაშა, რაც იყავ და რასაც შენგან ბოლომდის მოველოდით. შენ არ ისმენ ამდენი ხნის განმავლობაში ქმარშვილის, ნათესავების და ნაცნობების, ვაჲ-უით, თმათა გლეჯით და უწყალო ცრემლთა ღვრით, ვედრებას, ხვეწნას და მუდარებას. პასუხს არავის აძლევ. მაშ დღეს იმედი უნდა დავწმინდოთ, რომ შენ საუკუნოდ გაგვეყარე—დაგვეკარგე, შენ ვერა განახავთ შენგან ვერ მივიღებთ ჩვეულებრივ სიამოვნებას, კმაყოფილებას და პატივცემას, გამოგვეთხოვე —გაგვეცალე, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვშორდი კანა, ამოირჩიე სხვა გზა ცხოვრებისაზ მეტი ღონე არ არის უნდა დაუბრუნდეთ პირველად აქ წარმოთქმულ საღრმთო წერილის სიტყვას და დაგილოცოთ გზა შ ნგან აღრჩეული. „ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს და ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ“. მაგრამ შენი კამოთხოვება სამუდამოდ და ამ წუთი სოფლიდან საუკუნო ცხოვრებაში გზის დალოცვა ჩვენგან, განა ისე ადვილი, გადასაწყვეტი და წარმოსადგენია? მე არ შემიძლია ამას მსჯავრი დავსდვა. მხოლოდ მე შენთან, როგორც უძრავად, უსმენელად, უსულოდ და ბაგე დახშულად მდებარესთან, ბაასს ვწყვეტ და მივაქცევ ამ პატივცემულ საზოგადობის ყურადღებას შენ მოკლე ბიოგრაფიაზე.

ბ. ბ.! პაშას ცხოვრების და მისი კეთილ ადამიანობის ბიოგრაფია, თუ რამდენად ის იყო ჭეშმარიტი ამასრულებელი თავის დანიშნულებისა და მოვალეობისა, არათუ ყველა ჩვენთანგანმა, ყოდ მისი მამით დაახლოვებით ნათესავებმა: დედამ, ძმებმა და დებმაც, შესაძლებელია, სრულად არ იცოდნენ, მისთვის რომ იმათ იციან მხოლოდ იმ დროის, როცა პაშა კიდევ ქალაშვილი იყო და მათ ხელში იზრდებოდა, შემდეგ გათხოვებისა პაშა შორს დარჩა მათგან, და პაშასაგან ისინი.

პაშა შეუერთოდა თუ არა თავის საყვარელს ქმარს, მან მაშინვე გაიმკლავა და ენერგიულად შეუდგა საოჯახო საქმეს. ის დიდის კმაყოფილებით დასთანხმდა მისი ქმარი ყოფილ-ყო მსახური წ-და ტრაპეზისა, არ იუკადრისა მან სასულიერო წოდება, როგორც ამას ჩადიან ზოგიერთი გასათხოვარი ქალიშვილები და ზიზღით უყურებენ სამღვდელო—სასიძოს. პ შა იყო დაბადებული მართლ-მოწმუნე, კეთილ შობილ ქრისტიან მშობელთაგან და თითონაც მითვისა ეს ძვირფასი სახელი კეთილ მორწმუნე ქრიტიანობისა. პაშა თუმცაღა არ იყო აღზდილი ახალ სასტემის სწავლა განათლებით, სამაგიეროთ ის იყო აღზდილი ჭეშმარიტის და უტყუელის გზით—შინაურის განათლებით ნამდვილ დედათ. მე ბევრჯერ მითქვამს და სხვებთაგანაც ხშირად მსმენია: „ღმერთმა აკურთხოს, პაშას მშობლები, და დაილოცოს ის ოჯახი სადაც პაშა აღიზარდაო“! პაშას სურვილი, რომ მისი ქმარი გამხდარიყო ღირსი წ—ა ტრაპეზის მსახურებისა, მალე განხორციელდა, მიიღო რა მისმა ქმარმა მღვდლობის ხარისხი, ის უფრო გამხნევდა და განამრჩობლა თავისი შრომა და საოჯახო მოღვაწეობა. ის, როგორც ოჯახში, ისე გარეთაც თავ დაუზოგველად ეხმარებოდა თავის საყვარელს ქმარს, რითაც კი შეეძლო, უძევს და დიდი ღვაწლი მიუძღვის პაშას დიდი წილი ქაწიაში მეორე კლასიან სასწავლებლის დაარსებაში, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ და რომელიც ერთ პატარა დაბას წაგავს. პაშა იყო მტკიცე რელიგიური ადამიანი, იმას არ ეზარებოდა წირვა ლოცვაზე საარული თუნდა ზამთრის სუსხიანი დღე ყოფილიყო და ამაში სხვებსაც იზიდავდა—იწვევდა. ის მტკიცედ და შეურყეველად ასრულებდა ათ მცნებას, მოცემულს ჩვენდამო უფლისა მიერ. პაშა იყო კაცი მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, გაჭირვებულთა შემბრალე; გიგორნებდა თუ არა სადმე ახლო მახლო ვინმეს ავათ მყოფობას, მუდამ მზათ იყო, ენახა ავათმყოფი და აღმოეჩინა მისთვის მისგან შესაძლებელი მედიკური შემწეობა-დახმარება, მიეწვდინა წამალი და მიეცა ნუგეში; პაშა უზომოთ ეტრფოდა სასწავლებელს, უყვარდა მისი მასწავლებლები და მოსწავლენი, შაგირდებს დიდათ სწყალობდა, იბრალებდა, ყველას უყლიდა როგორც დედა, პატივსა სცემდა და გაჭირვებულთა ეხმარებოდა ზნეობრივად და მატერიალურათაც. პაშა იყო სტუმართ მოყვარე—არა მგონი ჰყოფილიყოს ისეთი შემთხვევა, მისი სტუმარი დიდათ კმაყოფილი არ წასულიყოს მისგ ნ. ის იყო ტკბილად მოუბარი, არა ამოდ მეტყველი, მისი ტკბილი და მოშაქრული სიტყვა მტერსაც მოყვრად ხდიდა, ჩახმახზე შეყენებულ თოფსაც კი შეაჩერებდა. თუ არ ვცდები, არ მახსოვს პაშასთან ვინმე უკმაყოფილო ყოფილიყოს,—ყველა მისი მეგობარი და კეთილი იყო; არ გვინახავს გაფიცხებული—გულ-მოსრული, და ყველასთან იყო ტკბილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდაბალი და ანდამატი. უზომოდ მოყვარული და პატივისმცემელი თვის დედამთილ-მამამთილისა და მასთან საზოგადოდ ყველა ნათესავებისა და მოყვასთა. მას არ უყვარდა ქმარ-შვილის, ოჯახის მიტოვება და სიარული ქალაქებში. არ აწუხებდა ქმარს თავისი მეტი მოთხოვნილებით. უყვარდა წმინა და სუფთა ტანისამოსი, მაგრამ არა ძვირფასი და დიდ ქალაქებში ნაყიდი, და სჯერდებოდა იგი კიწრის დუქნებში მოტანილ მატერიითაც. არ უყვარდა ამპარტავნობა და იყო იგი ყველასათვის მარტივი იყო, მეტის მეტი მშრომელი და დაუღალავი თავიანი მუშაკი (ვაჲ თუ ამ ფეხმძიმობის დროს ეს უბედურება შეხვდა ან მეტის შრომისა ან გაუფრთხილეულობისაგან). მისი ვინმესთან სტუმრობა არ იყო უსარგებლო, იქაც უსაქმოდ და უსარგებლოდ არ გაატარებდა დროს. ერთად მასინძელ ქალთან ისიც მზათ იყო ხოლმე სამუშაოდ, და ეხმარებოდა მას საოჯახო საქმეში და ღსათუოთ დასტოვებდა ოჯახში რაიმე ნაყოფს მისი ხელიდან, ასე რომ მისი სტუმრობა შეადგენდა მასინძლის დიდს მხიარულებას და კმაყოფილებას. პაშაზედ ბევრი რამ კეთილი შეიძლება ითქვას და მიეწეროს მას, მაგრამ ერთობ ენას გიგვიგრძელებს და ამისათვის მოკლედ ვიტყვი, რომ ის იყო ნამდვილი ჭეშმარიტი ცოლი ქმრისა და ძველებური ერთგული დედა შვილებისა. დავსძენ რომ ამ ჩვენ მხარის პატივცემულ მანდილოსნებს მოსწყდა ერთი ძვირფასი მარგარიტი წევრი და ჩავდა ამ საფლავში. მოკვდა პაშა, დავკარგეთ ერთი საუკეთესო დედათაგანი! მოკვდა პაშა, დაიღუპა ოჯახი, დაისაჯა სულიერად და ხორციელად მისი ქმარი, ახალგაზრდა დეკანოზი კონდრატე. შვილები, დედამთილი ნატალია და საცოდავი მამიდა მისი პარასკევა და ეს უკანასკნელი ყოველისფრისაგან ხელ გაცლილი და პაშას ფარდულში თავშეფარებული, რომელიც მხოლოდ იმითი ნუგეშობდა!

მამაო დეკანოზო, კოდრატე! ერთობ მძიმეა შენი სატანჯველი! სულ ორ-სამ თვის განშავლობაში, პირველათ დაჰკარგეთ საყვარელი მამა მალაქია. ეს ხვედრი წილი იყო და ეხლა ის ვიღას ახსოვს, ამას მოყვა დაუგვიანებლად, შენის მეუღლის სიკვდილი. დაჰკარგეთ ყველაფერზე უძვირფასესი დიდება შენი პაშა, არა მაქვს მასალა რითი განუგეშო და რითაც უნდა დაგამშვიდო შენ. შენს მწუხარებას რასაკვირველია საზღვარი არა აქვს და მომავალშიაც არ ექმნება; მხოლოდ, როგორც მღვდელი, განუგეშებ იმით რომ მოიგონე იობის ისტორია, შეიძლება განგებამ იობისმაგერ გამოგცადა. იქონიე მოთმინება, ეცადე ყოველის ღონისძიებით ეს იობისებური სასჯელი გადიტანო ღვთის უგმობელად, სადღეგრძელოდ და საბედნიეროთ შენის ობოლ შვილებისა. მხნე იყვენით და განძლიერდით უფლისა მიერ. მეტი რაღა ვეთქმის, უნდა ვემორჩილოთ ღვთის განგებას.

ჩემო სულიერო შვილო პაშა. მე ისევ უბრუნდები შენს საფლავს და გეუბნები. „ვაშა, შენს კეთილ ქალობას, გტირით და გიგლოვთ მწარედ, შენი ხსოვნა ჩვენში მუდამ დარჩება, შენ ყოველთვის სიყვარულით მოგიგონებთ. შენ ჩვენს გულში მუდამ უკვდავი იქნები. ნიშნათ ხსოვნისა და ღრმათ პატივისცემისა უძღვნი შენს წმიდა საფლავს ამ ხატს, ხატსა ყ-დ წმიდისა ღვთის მშობლისასა, მოსახსენებლად შენდა, ყ-დ წმიდა ღვთის მშობელი იყოს შენი მეოხი, რათა დაიმკვიდრო შენ წიალთა შინა აბრაამ, ისაკ და იაკობისთა სასუფეველი ცათა.—ამინ.

ბლაგოჩინი დეკანოზი

გიორგი ბერაძე.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**

გამომცემელი **იოსებ ლეონავა.**

)(Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.)(